წერილის ნომერი:**07-282333579**
თარიღი: **01/12/2023**

ადრესატი:

მანუჩარ რობაქიძე
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2023-წელში გაწეული მუშაობის შესახებ

წლიური ანგარიში

მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის შედგენისა და მუნიციპალიტეტის მერისთვის მიწოდების მიზანია, რომ მუნიციპალიტეტის მერი ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური 2023 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა 27 დეკემბრის წლის ბ28.282236111 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით. გეგმა ითვალისწინებდა 3-აუდიტორულ შემოწმებას.

გეგმით გათვალისწინებული საკითხებიდან მოხდა 3-ივე საკითხის შესწავლა, გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები და მიმდინარეობს სისტემური მონიტორინგი რეკომენდაციით გათვალისწინებული საკითხების შესრულებაზე. გარდა სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხებისა, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წლის განმავლობაში შესწავლილი იქნა 5 არაგეგმიური სხვადასხვა საკითხი, რაც აუცილებელი იყო მერიის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

შემოწმებები ჩატარდა:

გეგმიური აუდიტორული შემოწმება ჩატარდა მერიის ზედამხედველობის სამსახურში. შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებების და შენიშვნების გამოსწორების მიზნით სამსახურის მიერ, აუდიტის ობიექტის მიმართ, გაიცა სათანადო რეკომენდაცია.

გეგმიური აუდიტორული შემოწმება ჩატარდა სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრში, ასევე გადამოწმებული იქნა წინა შემოწმებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობა, დაისახა დამატებითი ღონისძიებები ამ მიმართულებით მდგომარეობის საბოლოოდ გამოსასწორებლად.

გეგმიური აუდიტორული შემოწმება ჩატარდა ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში,

შემოწმების შედეგად რაიმე არსებითი ხასიათის დარღვევას ან კანონთან შეუსაბამობას ადგილი არ ქონია.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა დებულების მე-3 მუხლის ,,ბ

''პუნქტის შესაბამისად, განახორციელა მერიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურეობრივი კონტროლი. შედეგად, დისციპლინური წარმოებები ჩატარდა მერის წარმომადგენელის ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში თამარ ბარბაქაძის მიმართ, მერის მოადგილის მირზა ქოჩიაშვილის მიმართ, ასევე სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელს ავთანდილ ურიადმოყოფელს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან. ვღებულობთ მათგან საჭირო კონსულტაციებს სამსახურეობრივი მოვალეობის ეფექტურად წარმართვისათვის. ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი ვართ ინსტრუქციებითა და სახელმძღვანელოებით. სამსახური საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტთან. ვმონაწილეობთ ჰარმონიზაციის ცენტრის ეგიდით მოწყობილ სწავლებებსა და ტრენინგებში.

შიდა აუდიტის სამსახურიის ხელმძღვანელი

სოსო არაბიძე

სოსო არაბიძე

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური-შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი